

სამართაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვალური

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

(დამატება)

№4

2011

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



Multilingual Reviewing International Scientific Magazine

Международный рецензионный мультилингвальный научный журнал

„Scripta manent“

*GEORGIA
ГРУЗИЯ*

*(APPENDIX)
(ПРИЛОЖЕНИЕ)*

№4

2011

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მანია ჩხეიძე
მთავარი რედაქტორი
რუსუღან თაბუკაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე
იან ჩიქვინიძე
პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდიგერ ფლუკი, კულგაუ ბეიბიტოვა,
სილვია ბოტევა, ტანია ბრისჰამერი, ქეთევან ბაბუნია, იან გურდული,
მარია მისაილოვა, ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაციანო,
ალესანდრა სპაღაფორა, ბიორგი ყუფარაძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII
ტელ. : 36 51 76
E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი
E-mail. : k-kharazishvili@mail.ru
scripta.manentmagazine@gmail.com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიბლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
www.odageorgia.ge

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze,
Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Grishammer, Ketevan Gabunia,
Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano,
Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : (995 32) 36 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе,
Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня,
Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили,
Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел. : (995 32) 36 51 76
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

რედაქციამ შემოქმედებითი და მთარგმნელობითი საქმიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით გადაწყვიტა გამოსცეს ჟურნალის – „*Scripta Manent*“ დამატებითი ნომერი მხატვრულ თარგმანთა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა კლასიკური თუ თანამედროვე ნიმუშების გამოსაქვეყნებლად.

ჟურნალის რედაქცია ამ წამოწყებით მხარში უდგას პროფესიონალ მთარგმნელებს და ხელს უწყობს ნიჭიერ ახალგაზრდა თაობას გზა გაიკვალოს ამ სფეროში.

შინაარსი

მილენა მოზერი. მტკნარი ტყუილი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ლალი ბერიძემ	7
ია ბურდული. ლექსები	13
ოთარ გომხეთელიანი. ადრიან დიუპრე და ჟაკ ფრანსუა გამბა ბათუმის შესახებ ფრანგულად თარგმნა ნატალია სურგულაძემ	18
ფრანც კაფკა. ნაწკვარი. მოკლე მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა	20
უცნობი ავტორი. როგორ შევიდა ყავა და ტკბილეული ავსტრიაში. მოკლე მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა	22
უცნობი ავტორი. კურდღლების ტირანია ანუ უკანასკნელი ტყუილი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა	24
ვოლფგანგ ბორხერტი. კედელი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა	22
ვოლფგანგ ბორხერტი. პური. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა	29
ნატო თხილაგა. დროის დერეფანი	31
ჰენრიხ ჰეინე. სამაისო. ლექსი. გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილაგამ	32
იოჰან ვოლფგანგ გოეთე. ღამის მგზავრული. ლექსი. გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილაგამ	32
გიორგი ჭყონია. ლექსები	33
ვიქტორ ჰიუგო. ნაწყვეტი კრებულიდან „განჭვრეტა“. ნატო ზაკალაშვილი, თეონა თოფჩიშვილი ვიქტორ ჰიუგოს ლექსის მოტივზე შექმნილი ჩანახატები	37

მილენა მოზერი

მილენა მოზერი ცხოვრობს და მოღვაწეობს ციურისში. ცნობილი გახდა მოთხრობათა კრებულით „გატეხილი გულები“ ანუ ჩემი პირველი და მეთერთმეტე მკვლევლობა“, ასევე რომანებით – „დამლაგებელ ქალთა კუნძული“ და „ქერა ქალების ოცნებები“.

მილენა მოზერი

მტკნარი ტყუილი

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა ლალი ბერიძემ

თქმა არ უნდა, ყველაფერი ჩემი ბრალია, ეგ არის, ვერ ვიტყვი სიმართლეს. ვეღარ ვიტყვი, არც ღირს თქმა, ის ისეთივე უბადრუკია, როგორც მათი უმრავლესობა. ტყუილით კი უფრო თავს შეიქცევს კაცი და თუ ის ზღვარს არ გადადის, არც არაფერს ვნებს ვინმეს.

უსიამოვნებები იმავე დღეს დაიწყო, როცა ჩემს ახალ სამსახურს – ტელეფონისტობას შევეუდექი. ოთახი მოვათვალიერე: ქალები გრძელ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ, ყურებზე ყურსაცვამები, ხოლო სახეზე უაზრო გამომეტყველება ჰქონდათ, აი, ისეთი, ადამიანი უნებურად რომ დებულობს, ვინმეს რომ ელაპარაკება, ვერ კი ხედავს. მაშინვე შევატყვევ, რომ აქ დიდხანს ვერ გავძლებდი.

ადგილი მეორე რიგში მიმიჩინეს და მეც მოგვკალათდი. პირველი, რაც გაგაკეთე, ის იყო, რომ გი ლაპორტის ავტოგრაფიანი ბარათი ჩემს კომპიუტერს მივამაგრე. „**toi pour toujours**“* – ეწერა მასზე. ნაბეჭდი იყო, მაგრამ მე თავის დროზე ფლომასტერი გადავატარე და ნამდვილი ავტოგრაფიდან ვერ გაარჩევდი. ცხადია, პირადი ნივთების სამუშაო ადგილზე მოთავსება არ იყო ნებადართული. როგორც კი ზედამხედველმა შენიშვნა მომცა, ავდექი და ზედმეტად ავღებულები გამომეტყველებით, ბარათი გულისპირში ჩავიკეცი. ეს უკვე პირველი პატარა ნაბიჯი იყო საიმისოდ, რომ მემტკიცებინა, გი ლაპორტთან საიდუმლო ტრფობა მაკავშირებს-მეთქი.

შესვენებაზე გოგონები პირდაპირ ჩემსკენ გამოეშურნენ და ჩემს გარშემო შეგროვდნენ, თვალებგაფართოებულნი გულდასმით მიგდებდნენ ყურს და მალე ისეთიც გამოჩნდა, ვინც ბუფეტში სადილზე დამპატიჟა. ამბების შეთხზვა არ გამჭირვებია. ვიცოდი, რომ ცნობილი მომღერალი და მსახიობი გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემების გამო შვეიცარიაში ცხოვრობდა, აქვე ახლოს.

*- ფრანგ. „მარად სახსოვრად“

ასე რომ, ადვილი დასაჯერებელი იყო, ქუჩაზე ჩარბენისას ჩემი სინორჩითა და მომხიბვლელობით ისეთი შთაბეჭდილება მომეხდინა, რომ მას თავისი ლიმუზინით სახლამდე გაცილება შემოეთავაზებინა. სავსებით დასაჯერებელია. რა ჩემი ბრალი იყო, რომ ასე არ მოხდა? რა თქმა უნდა, გი ლაპორტი უკვე სამოცს უკაკუნებდა, ეს თავადაც ვიცოდი, მაგრამ ჯერ ერთი, ჩემი სისუსტე ყოველთვის ჭარმაგი მამაკაცები იყვნენ, და მეორეც, მას დიდი-დიდი ორმოცს თუ მისცემდა კაცი. მდიდარი ხალხი, ეტყობა, გვიან ბერდება. რა გასაკვირია, აბა, რა თავში იხლიან ამდენ ფულს? მამაჩემი, მაგალითად, სამი წლით უმცროსია ლაპორტზე, მაგრამ არც მეტი, არც ნაკლები, მისი მამინაცვალი უფრო გეგონება.

შევაგროვე და წავიკითხე მთელი წყება გაზეთების ამონაჭრებისა გი ლაპორტის შესახებ და მოსაყოლი ამბებიც თავისთავად ითხზებოდა. სიფრთხილემ მმართვედა, რა თქმა უნდა, მისი მეუღლის ივონე ბერგერის ხსენებისას. ყველა იცნობდა ამ დიდ, საუცხოო მსახიობს, რომელთანაც მან ოცი წლის წინ იქორწინა და რომელსაც, რატომღაც, მეუღლესთან შედარებით, არც თუ ისე ბედნიერი მოხუცებულობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ქალს როლებს აღარ სთავაზობდნენ და იმასაც ამბობდნენ, სმა დაიწყო.

– ცოლს ხომ არასოდეს მიატოვებს – ჩაილაპარაკა ჩემმა ახალმა კოლეგამ და ჩაკბიხა დანიური ფენოვანი, რომელსაც ბუფეტში ცელოფანში გახვეულს ჰყიდიან, ეს კი ნამცხვარს ერთობ თავისებურ მომჭკნარ, გრილ და ნოტიო კონსისტენციას აძლევს. ამას თანდათან და ისიც ძნელად თუ ეჩვევა კაცი. მე ნუშის ტრიუფელი ავიღე და ხაზგასმით ნება-ნება ვხსნიდი. სხვებზე მეტად მე თვითონ გავვოცდი, როცა შაქრით გატკბილულ-გაწებოვნებულ ფოლგას ჩემი უმანკო ცრემლები დაეწვეთა.

ჩვენს პატარა მაგიდაზე რამდენიმე წამით დუმილი ჩამოვარდა. ყველა საბოლოოდ დავაჯერე. საკუთარი თავიც კი...

იქამდე მივიდა საქმე, რომ გულში უსიამოვნოდ გამჩხვლეტდა ხოლმე, სადმე ივონე ბერგერისა და ცნობილი გი ლაპორტის ბედნიერი ქორწინების შესახებ რომ ამოვიკითხავდი. ახალი ფეხსაცმელიც კი ვიყიდე, ოქროსფერბალთიანი. სადღაც წავიკითხე, მდიდარ გოგონებს ასეთები აცვიათო. შევიცვალე ვარცხნილობა.

მოწესრიგებულად ავიკრიფე თმა. ვფიქრობდი, რომ ასაკიანი ბატონის საყვარელს ეს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ჩემი გაშვებული კულულები. ჰო, მართლა, ჩემი მეგობარი ბრუნოც მივატოვე. ბინიდან გავაძევე, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბინა მისი იყო. რა მექნა, დღითიდღე აუტანელი ხდებოდა, აღარც მისი ლაპარაკი მომწონდა, არც მისი ჭამა, აღარც სუნთქვა. რა თქმა უნდა, ბრუნო არაფერ შუაშია. უბრალოდ, ის არ იყო გი ლაპორტი და არც მასთან ერთად ტელევიზორის წინ გატარებული საღამოები და არც მის მეგობრებთან მინიგოლფის საკვირაო ტურნირები იყო ის ცხოვრება, რისთვისაც მე ვიყავი გაჩენილი. ამასობაში, თანდათან თვითონაც დავიჯერე, რომ ცოლიანი რომ არ ყოფილიყო, კარგა ხანია მე და გი ლაპორტი ერთად ვიცხოვრებდით. მანამდე კი ბრუნო უნდა მიმეტოვებინა, ეს, უბრალოდ, ლოგიკური იყო. პიკანტურად მოვიტყუე, დავარწმუნე, კინო-კორპორაციაში ვმუშაობ-მეთქი. უნდა მიმეტოვებინა. რაკი სხვადასხვა ცვლაში მიწევდა მუშაობა და თან ჩემი სამსახურში

ნახვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ეს ტყუილი ადვილად დასაჯერებელი გამოდგა. სხვათა შორის, საამისოდ ისიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ კინოთეატრში აღარ ვჩნდებოდი ვინმესთან ერთად და შთაგონებულ სახეს ვღებულობდი, თუ საუბარი რომელიმე კინოვარსკვლავს ეხებოდა.

– სხვა გყავს! – აყვირდა ბრუნო – ასეა ხომ? ვიღაც კინომარიაჟია, ბევრი ფული აქვს და საინტერესო ხალხს იცნობს, არა? მაგარი მანქანა ჰყავს და კანში შეუძლია დაგპატიოს?!

თვალეები დავხარე. დაახლოებით ასეც წარმომედგინა ყოველივე.

– უბრალო ბანკის მოხელე, რა თქმა უნდა, არ გაკმაყოფილებს! - განაგრძობდა ის – ნეტავ, საერთოდ არ შეგხვედროდი!

ამაშიც უსიტყვოდ ვეთანხმებოდი.

– გგონია, ბევრით მჯობისარ? ჩემზე მეტი ხარ, არა?

სწორედ ასე ვფიქრობდი. ეტყობა, თვითონაც შემამჩნია, რადგან სიბრაზისგან თვალეები მოეწკურა და საშინელი სიტყვებით დაიწყო ჩემი ოჯახის, დედაჩემის ლაპარაკის მანერისა და მიწის ნაკვეთის ლანძვაც კი. სიბრაზისაგან სულ ცოფებს ყრიდა. არა, რა ძალა მედგა, ჩვენებთან რომ წავიყვანე? ორ წელზე მეტია, რაც ერთად ვცხოვრობდით და მგონი, მინდოდა დედაჩემისათვის დამემტკიცებინა, რომ ნამდვილად მყავდა მუდმივი, სოლიდური მეგობარი. მინდოდა, მშვიდად ყოფილიყო, ჩემზე აღარ ეღარდა. კი ბატონო, დედაჩემს, ცოტა მოურიდებელი ლაპარაკი კი სჩვევია, რაც მართალი, მართალია, მაგრამ მეორეს მხრივ, ყოველთვის ურად საკუთარი ხელით მოღუდებულ ჯემს რომ უგზავნიდა ბრუნოს?! ნამდვილად არ ჰქონდა უფლება, ასე ელაპარაკა დედაჩემზე. ისე გავბრაზდი, რომ დაუფიქრებლად ვუსაყვედურე, გი ლაპორტს კი დედაჩემი ძალიანაც მოსწონს-მეთქი.

ბრუნომ უცბად ვერ მოიფიქრა, რა ეპასუხა.

– გი ლაპორტი?! ლაპორტი ხომ ცოლიანია!

ეს მეც შესანიშნავად ვიცოდი! მისი ქორწინების უბრალოდ ხსენებაც კი თანდათან ისე მაღიზიანებდა, რომ სურვილი მიჩნდებოდა, რაც ხელში მომხვდებოდა, დამემტვრია, მაგალითად თეფში, ანდა სულაც პირთამდე სავსე საფერფლე, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა.

– ერთი საათი ლაპორტთან ყოფნა უდრის შენთან გატარებულ მთელ სიცოცხლეს! – გაყვიროდი და ეს მართლაც არ უნდა მეკადრებინა. მაშინვე ვერ მივხვდი, მაგრამ ეს წინადადება რომელიღაც ფილმიდან მახსოვდა, რაც, კაცმა რომ თქვას, ვერაფერი შეღავათი იყო.

ბრუნომ ჩააღაგა ჩემოდანი და თავის კოლეგასთან გადავიდა, ხავერდგადაკრულ, წვრილ ბეწვის სამაჯურს რომ ატარებს და ასე კარგად რომ თამაშობს მინიგოლფს.

მერე კი გაზეთში ამოვიკითხე, ივონე ბერგერი საავადმყოფოში წვესო. ფოტოსურათზე დარდისგან მხრებჩამოყრილი გი იყო გამოსახული, ავტომანქანიდან რომ გადმოდიოდა. ზუსტად არ წერდნენ, რა სჭირდა ქალს, მაგრამ ყველაფერი ალკოჰოლიზმზე მიანიშნებდა. ვერ ვამტყუნებდი, მესმოდა მისი. ივონა ბერგერი ერთ-

ერთი უმწვენიერესი ქალი იყო. მარტო ტუჩ-კბილი ჰქონდა ისე ლამაზი, რომ ძნელად წარმოიდგენდი, თუ ისიც ჭამდა, კბილის პასტას ანერწყვავდა, ან რაიმე მიწიერს სხადიოდა. შემდეგ კი ერთ ღამეში დაბერდა, გაჭაღარავდა და გასუქდა კიდევ. კოჭები დაუსივდა, სათვალე და გაშვებული კაბები დასჭირდა. გი ლაპორტი კი, პირიქით, მოხდენილი და გარუჯული იყო, შევერცხლილი თმებით, რაც სულაც არ ნიშნავს ჭაღარას. სულ ცოტა ხნის წინ ვნახე ერთ სურათში, განზე გაჭიმული ფეხი, როგორც ემჩნევა, ყოველგვარი სირთულის გარეშე მხრებამდე აქვს აწეული და მხოლოდ ერთი ხელითაა ჩაჭიდებული საბალეტო ძელს.

– ახლა ნამდვილად ვერ მიატოვებს ცოლს – მითხრეს კოლეგებმა. აღელვებისგან ნელ-ნელა ათამდე თვლა დავიწყე. ეს თავიდანვე ცხადი იყო ჩემთვის, თუმცა არაფერს ვიმჩნევდი და ბაგეებმოკუშული ვამტკიცებდი:

– როგორ, სერიოზულად ფიქრობთ, რომ მე ისეთ კაცთან ვიცხოვრებ, რომელიც თავის ავადმყოფ ცოლს გაჭირვებაში მიატოვებს? – ისე თავდაჯერებულად, თითქოს ეს ჩემი გადასაწყვეტი ყოფილიყოს...

შემდეგ ივონე ბერგერი კლინიკიდან გამოეწერა. რამდენიმე დღის შემდეგ კი სრულიად შემთხვევით წავაწყდით გი ლაპორტს. ცენტრალურის რამდენიმე ქალთან ერთად სეზონურ ფასდაკლებაზე გაიაფებული საშობაო საჩუქრის შექმნა მინდოდა. ის-ის იყო საოჯახო საქონლის მაღაზიიდან გამოვედით, ქუჩაში ვიდექით და ვერ გადაგვეწყვიტა, შემდეგ საით წავსულიყავით, რომ უეცრად ის დავინახეთ. სწრაფი, პაეროვანი ნაბიჯებით გადადიოდა ქუჩაზე, სასტუმროსკენ მიემართებოდა. მზის სათვალე ეკეთა და ტრანსპორტს ყურადღებას არ აქცევდა. ორი ჩასუქებული ახალგაზრდა მშიერი ლეკვებივით ენაგადმოგდებული მისდევდა. ჩემი კოლეგები, ეს უმწიფარი ტიპები, ლამის აჭყლოპინდნენ, პირზე ხელს ირტყამდნენ და დროდადრო აღელვებისგან ცქმუტავდნენ. ცოტა არ იყოს, შემეშინდა, არ ჩაისველონ-მეთქი. ერთი ნაღვლიანი მზერა კი შევაგლე მათ და მეგონა, ამით ყველაფერი ვთქვი ჩემი საიდუმლო ტრფობის არარსებობის შესახებ.

არ გასჭრა.

– რატომ არ მიდიხარ? – ისე მიხურჩულებდნენ ისინი, რომ ალბათ ქუჩის გადაღმა გაისმოდა. – ხომ ნაღდად გაუხარდება შენი დანახვა? თუ?

– ხომ ხედავთ, საქმიანი შეხვედრა აქვს – წავისისინე. მათ კი აქეთ-იქიდან გამიკავეს იდაყვები თავიანთი ოფლიანი ხელებით და ლამის ძალით გადამათრიეს ქუჩაზე.

– გეყოფათ, მომეშვით – ვიცდილებდი მათ თავიდან, უიმედოდ და ბავშვურად ვოხრავდი. კარგით, რაც არის, არის, როგორც გინდათ, ისე იყოს. დაგნებდი.

შემდეგ ის იყო, მძიმე ტყავის ფარდის მიღმა სასტუმროს ბარში ამოყვავი თავი. მეგონა, ნახევრად ჩაბნელებულ ბარში თავს უფრო საიმედოდ ვიგრძნობდი და იქნებ რამეც მომეფიქრებინა. არ იქნა და ეს ყვეფი დედაკაცები არ მომეშვნენ, ზურგში

ხელის ბიძგებით მომყვებოდნენ, მეც იძულებით წინ ვიწვედი, უკან ვერ დავიხევდი.

გი თავის განუყრელ კომპანიასთან ერთად უჯდა მაგიდას სულ უკანა კუთხეში. წინ განახევრებული ვისკის ბოთლი ედგათ. ხმამაღლა საუბრობდნენ. მგონი ის ორნი. თვითონ არაფერს ამბობდა. თავი ასწია და ისე შემომხედა, თითქოს რეპეტიცია გვქონოდა გავლილი. შემომხედა მოლოდინით აღსავსე ღიმილით და მეც, რა თქმა უნდა, მისკენ გავემართე. ზოგჯერ მავიწყდება, თუ რა მარტივი შეიძლება იყოს ცხოვრება, როცა მიმზიდველი, ქერა და ოცდაერთი წლისა ხარ. მისი სავარძლის სახელურზე ნაზად ჩამოვჯექი, მკლავი მას შემოვხვიე და საზურგეს დევეყრდნე. თითქოს მომესმა, როგორ შეიკრეს სუნთქვა კარებში გაუბედავად ატუზულმა ჩემმა კოლეგებმა. მისკენ დავიხარე და წავჩურჩულე: გეთაყვა, არ შეგიძლიათ, ისე მოიქცეთ, თითქოს მკოცნით, მხოლოდ ერთი წუთით!

წუთიც არ დაუყოვნებია, მაკოცა და თანაც ნამდვილად. პიტნის სუნი ასდიოდა. თვალი რომ გავახილე, ის ორნი გამქრალიყვნენ. კიდეც კარგი. ხელი იქვე მდგარ ვისკის ჭიქას წავატანე, რა თქმა უნდა, რაღაც უნდა ამეხსნა.

ყველაფერი მოვუყევი და სულაც არ გაბრაზებულა, პირიქით, მეკურკურებოდა. ის კი არა, სადილიც შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი.

– რეალობა ბანალობად არ უნდა იქცეს. ამას ვერ მიიღებთ!

მეორე დღეს არასაპატიო მიზეზით გავაცდინე სამუშაო. ჩემს იმიჯს უკვე ვერაფერი შეარყევდა.

რამდენიმე კვირამ გაიარა და ივონე ბერგერი გარდაიცვალა, არც ისე მოულოდნელად. დაკრძალვა ტელევიზიით გადმოსცეს, ისევ გავეთავისუფლე ერთი დღით. გი ლაპორტს გრძელი ვარდი ეკავა ხელში და ისიც ჩანდა, როგორ სდიოდა ცრემლები მზის სათვალის ქვეშ.

სიმართლე რომ ვთქვა, ეს ყველაფერი ძალიან აღარც მაინტერესებდა. ერთი ახალგაზრდა გავიცანი, ფოტოგრაფი. ერთი მძიმე მოტოციკლი ჰქონდა, ლაღად შემოვიარეთ არემარე, სურათებსაც წამდაუწუმ მიღებდა. მოვწონდი – ლამაზი ფეხები გაქვსო – და ეს, რა თქმა უნდა, მაბამდა. იმ დღით, როცა ივონე ბერგერი დაკრძალეს, პირველად დარჩა ჩემთან და მაშინვე ჩემთან გადმოსვლა მოინდომა. მე მივუგე, მოვიფიქრებ-მეთქი, მაგრამ უკვე ვიცოდი, დავთანხმდებოდი. ნამდვილად დრო იყო ახალი თავგადასავლისათვის. სამუშაოს მოსაძებნად საგაზეთო განცხადებების ყურადღებით კითხვა დავიწყე.

შემდეგ ის იყო--ხმა დაირხა, ივონე ბერგერი მოკლულიაო და გი ლაპორტი დააპატიმრეს. მე ცდუნებას ვერ გავუძელი, შავებში გამოვეწყვე და მაკიაჟის გარეშე გამოვცხადდი ცენტრალურ სატელეფონო ბიუროში და ტრაგიკული ქვრივი გავითამაშე. გოგონები პირდაპირ მოიხიბლნენ.

ლაპორტს ალიბი აღმოაჩნდა და მაშინვე გაათავისუფლეს, და არ ვიცი, რა ილაპარაკა იქ. ასეა თუ ისე, მის მაგივრად მე დამიჭირეს.

ღიახ, მე!

გი ლაპორტს თურმე რამდენიმე თვეა ახალგაზრდა ლამაზი საყვარელი ჰყოლია – ასე წერდნენ გაზეთები და ვერც ვერავინ დააჯერებდა მათ, რომ ეს ასე არ იყო. თუმცა ლაპორტი თვითონ, რა თქმა უნდა, საშინლად საყვედურობდა პრესას საჯაროდ. ერთ-ერთ სურათში სახეზე ხელებიც კი ჰქონდა აფარებული. ამ გოგონას თურმე მობეზრდა ჩრდილში ყოფნა. ექსმეგობარი, ბრუნო გ., მაგალითად, აღნიშნავს, რომ ქალი ივონე ბერგერის უბრალოდ ხსენებამაც კი ისე გამოიყვანა მდგომარეობიდან, რომ აქეთ-იქით ისროდა ჭურჭელს. კოლეგები კი ადასტურებდნენ მისი ხასიათის მერყეობას და „თვალეების პაჭუნს“.

– მემუქრებოდა, ცოლს დაეურეკავ და ყველაფერს ვეტყვიო-ჩააწერინა ოქმში გი ლაპორტმა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ეს ყველაფერი მთლად სერიოზულად გულისხმობდა არ მიმიტანია, რას წარმოვიდგენდი, რომ ასეთ რამეს ჩაიდენდაო.

აქედან გამომდინარე, ამტკიცებდნენ, რომ ახალგაზრდა საყვარელმა ლაპორტის არყოფნით ისარგებლა, დაურეკა მის მეუღლეს და იმ სტუდიაში დაიბარა, რომელსაც წყვილი საიდუმლო შეხვედრებისათვის იყენებდა.

გასაღები გულისფორმიანი ბრელოკით, რომელსაც მე ჩუმი ვაჩვენებდი ჩემს კოლეგებს და ჩანთაში მედო, მართლაც მიუდგა იმ კეთილმოწყობილ სტუდიას, სადაც ივონე ბერგერი გარდაიცვალა. გასაოცარი არ არის? დაფიცება შემეძლო, რომ ეს ჩემი საკუთარი სარდაფის გასაღები იყო. სტუდიაში კი დანაშაული მომხდარა თურმე. ბოლოს და ბოლოს რისი ჩადენა დამბრალდა, მთლად მაინც ვერ გავარკვიე. ყოველ შემთხვევაში, საჩივარში მკვლელობა დასახელდა. გაზეთმა ჩემი საშინელი სურათი დახატა და მაშინ მივხვდი, რა დონეზე შეიძლება ადამიანს დაუპირისპირდე, როცა ის ლამაზი, ქერა და ოცდაერთი წლისაა.

ყველაფრის მიუხედავად, ალბათ, მაინც მექნებოდა შანსი, მე თვითონ რომ მეღიარებინა სიმართლე, ხომ შემეძლო, ყველაფერი ამეხსნა. მე კი ფიციც ვერ ამოვიღულულე:

„სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა“.

რა სინდისით მომიბრუნდებოდა ენა.

დაცვის ერთადერთ მოწმედ ჩემი მშობლები გამოვიდნენ. მამას არაფერი უთქვამს, დედაჩემმა კი, არა უშავს, კარგად ილაპარაკა, მაგრამ ჩვენება მაინცდამაინც საჩემო არ გამოუვიდა.

სხდომას გი ლაპორტიც ესწრებოდა, მაგრამ სასამართლო დარბაზი განაჩენის გამოცხადებამდე დატოვა. ის ტორტმანებდა და ეყრდნობოდა თანმხლებს, გამორჩეულად მომხიბვლელ ახალგაზრდა ფოტოგრაფს, მოტოციკლეტისტის ჩექმებში გამოწყობილს, რომელიც როგორღაც მეცნო.

ი ა ბ უ რ ლ უ ლ ი

ლექსები

ნათლისდება

ნუთუ მართლა იცი
რა არის კარგი?
წყალზე ხმა გაისმა –
„შენზეა მაღლი!“
გავრცელდა მიწაზე
ღრუბლების ნაფიქრი
და შურის ჯინაზე
აიგო გრაფიკი –
წყაროდ დაიდვარა პირველი სიტყვა,
რამდენი ჭორი ტკივილად ითქვა,
ოთხი სამსჭვავლი და ტანჯვა მინავლული –
აი, რა ყოფილა თურმე სიყვარული!

როგორც შექსპირი

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ –
ეს იყო ყოველთვის წინათქმა.
გათენდა, დაღამდა, ინათა,
შექსპირად იქეცი კინაღამ.

ისუნთქე! ზაფხულის ღამეა,
სიზმარი ქორფა და მწვანეა,
ამქვეყნად რამდენი რამეა
და მაინც იგივე მთვარეა!

ღრუბელი მისტირის მზეს,
გინდა? ავუჩქაროთ ფეხს!

მე ვარ სამშობლო

ვიცი, მრუშობას ეწევი,
ვერ მოგიძღვენი შედეგრი,
თბილ ქვიშას ურცხვად დალოშნის
სველი თოვლი და მეწყერი.

ძალა სინაზეს ამოშლის –
მედია შვილს ყელს გამოჭრის,
ზღვის სუნთქვას ვისმენ ფარულად,
ტკივილებს ვითმენ ქალურად.

ნიაგო!

– „წამოდი, ერთად ვიაროთ,
ქვეყანა შემოვიაროთ!“
ნისლი აწყდება ცას –
სევდა სიყვარულს ჰგავს?
ნეტავ ჩურჩულებ რას –
სიცოცხლე სიკვდილს კლავს?
ყვავილს უკოცნი მთას,
ქართან დაკარგავ თავს.

იქნება მითხრა ნიაგო,
რამდენი უნდა ვიარო?

მესხიერება (9 აპრილი)

ასეა, მე ვარ მხოლოდ მსახური!
მომწონს – გიტაცებს ხიბლი ქალური.
მე არ ვარ მეფე,
მაგრამ მომავალს გიამბობ, მენდე!
– თუმცა ბობოქრობს დროის ხანძარი,
ისევ დარჩება ძველი ტაძარი!
ჰო, მე ვარ აწმყო –
ადექი, წამო!
მე ვარ წარსული –
ხასად ითხოვეს მეფის ასული,
ვერ შემომხსენი წელზე ქამარი,
იცი, ჩემშია მეფე თამარი!

ერთი ოთხშაბათის წვიმა

თავზე მესხმება წვიმა ტალახის,
ვერ გადავზომე სიგრძე ღალატის –
განბნევა ვერცხლის
გოდებად მესმის,
ცრემლის ჩურჩულად

ჩუმად გადაჭრა თოკის და ფესვის.
ვერ მოვიშორე შიში, სიშიშველე,
ხმალიც ვიშიშველე,
„სანამ იყივლებს სამჯერ ქათამი“,
მე ვარ ევა და მე ვარ ადამი.

ძველი სიმღერა (ტერენტი გრანელის მოტივზე)

გაკვირტების ჩურჩულია ნაზი,
რქას აიყრის, აყვავდება ვაზი,
გაზაფხული ციდან ფერთხავს ყვავილს,
ამ სადგურზე ჩამოვედი გავლით.
ენაცვლება ხვალ და დღეს და გუშინ,
ისევ ყვარობს პირიმზისას თუში?
(„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“,
ისევ უნდათ, ჩაგვაფურთხონ სულში?)

ჩვენ, ადამიანები

გამოგვდის მოცდა,
ლოყაზე კოცნა,
ეს უკვე იყო –
ცნობილი ტილო,
დრამა, თეატრი
და მერე კინო.
შუქ-ჩრდილი მეხის,
დაბანა ფეხის.
კამათის აღმური,
ფიქრი, ისტერია,
აი, სიყვარული –
ძველი მისტერია.

ცისარტყელა (მარიკოს)

შენ გგონია ზღაპარი
აღარ არის მართალი?
მზე კვლავ მისდევს მთვარეს,
რას გაუგებ ქალებს.

ჟამი ითვლის დროს,
თვალი მირბის შორს,
ცისარტყელას ხიდი,
გაიარე, მიდი!

ნუღარ დამიშლი (მთის მოტივებზე)

ვერცხლის თასადამც მაქცია,
ვერ შემაკრობდა მაქცია,
ვაზის გულისთქმას გეტყოდი,
იგრძ ნობდი, ქარს რომ ვეტრფოდი,
შუქს გაჩუქებდი მთვარისას,
სევდას იგრძნობდი ქალისას.

მომაკვლავი მზე (ისევ ვკითხულობთ ჩვენ გალაკტიონს)

როგორც ყოველთვის მამშვიდებს დილა –
მზის სიკვდილამდე კიდევ ბევრი განთიადია,
სწორ მისამართზე ვარსკვლავი მივა,
იქ ხომ ის ცეცხლი ისევ ანთია!
და კვლავ ვკითხულობთ,
რომ მიიცვლება ტანჯვა-წვალებით,
მზე უნდა მოკვდეს „ღია თვალებით“.
მაშინ სიმღერა დაყრუვდება ალბათ უმწეოდ –
გამიჭირდება, გამიჭირდება „ყოფნა უმზეოდ.“

ისევ ცისარტყელები (აქაურებს და იქაურებს)

მოდის წვიმა, მოდის თოვლი,
ზღურბლს გადახვალ ალბათ მოვლით.
იქ ხომ მუდამ ანთია პაწაწინა ვარსკვლავი,
საიდუმლოს გაგიმხელს სუნი ოქროს თავთავის.
ნუთუ მართლა არ იცი
ცის ნაპირი სად არის?
ექებ ხელის ცეცებით.
ცისარტყელას ფერებით
შეიგრძენი ნუგეში –
გააბოტე გუბეში!

ფერადია ძვირფასო
უხილავი ძაფები,
თუ გაწყდება, განასკვავ,
არ კვდებიან ბავშვები!

დედას

(ზოგადად და კერძოდ)

ვდგავარ შიშველი,
ხელებაწვდილი
და იფანტება ჩემი ნაწილი.

ვიცი, მდარეა რითმა,
აღბათ უსიტყვოდ ითქვა,
როგორ იტირა ფიქრმა,
როცა ადამი იშვა.

ღრუბელშიც ანათებს მზე,
გამარჯობა, დე!

2010 წელი

OTAR GOGOLISHVILI

Adrien Dupret et Jacques François Gamba au sujet de Batoumi (Le début du XIX-e siècle)

ქართულიდან ფრანგულად თარგმნა ნატალია სურგულაძემ

Les voyageurs François Adrien Dupret et le consul de France à Tbilissi Jacques François Gamba nous donnent des renseignements importants concernant l'histoire de Batoumi au début du XIX-e siècle. Dans la première moitié du XIX-e siècle Batoumi et l'Adjara entière étaient sous la domination de la Turquie. Les matériaux historiques de Batoumi à cette époque sont rares et par conséquent les opinions des Français éveillent l'intérêt des savants géorgiens.

Adrien Dupret avait fait un voyage à Batoumi en 1807. En décrivant Batoumi, Dupret indiquait que c'était un grand village littoral dont le nombre des habitants atteignait à 2000. Les Géorgiens formaient la plus grande partie des habitants(1, p.262). Sauf les Géorgiens, les Arméniens aussi habitaient la ville. D'après Dupret : « avec ses maisons éparpillées, Batoumi plutôt ressemble à un grand village qu'à une ville. Batoumi est situé au bord de la mer. Il a une seule rade ouverte vers l'est et le nord. Du côté occidental Batoumi est protégé d'un cap sablonneux. La rade est profonde et tellement sûre pour les bateaux, que celles des meilleurs ports. Elle n'est pas protégée des citadelles. Près de l'entrée du marché il y a une tour en bois sans canon, ayant la fondation en pierre et entourée d'un fossé. Dans le marché il y a cinquante mauvaises boutiques, où on fait le commerce de marchandises de bon marchés. Les bateaux de grandes et petites tailles arrivant par ici importent le fer, du sel, du savon et des tissus »(1, p.263).

D'après ces renseignements il est clair, qu'étant une petite localité, quand même Batoumi donnait des signes caractéristiques de la ville. En particulier, le marché et les boutiques fonctionnaient, le commerce était en cours, par les bateaux on importait et exportait des différentes denrées.

Selon Dupret la population de Batoumi avec le commerce aussi pratiquait l'agriculture. On cultivait les fruits, le bleu et particulièrement on récoltait beaucoup de riz (1, p.264).

Dupret estimait que l'absence de voies des communications entre Batoumi et les régions intérieures du pays était la cause de manque de relations commerciales. Il notait, que « à cause de mauvaises routes les marchands habitant à Akhaltsikhé préfèrent exporter leurs denrées de marchés d'Erzeroum (1, p. 264).

Les notes de Dupret comprennent une information intéressante qui nous permet de déterminer le lieu du peuplement de la ville dans la période indiquée. Selon lui la ville était éloignée à 1 km de distance de la rivière Bathissi(actuellement c'est l'embouchure de la rivière Korolostskali)(1, p.264).

Suivant les renseignements de Dupret qui s'appuyait sur ses observations et ses impressions, la ville probablement était installée au sud de Bartskhana, à peu près sur le territoire, qui est à présent entre le marché et la banque maritime.

Dupret nous informe qu'un commandant gouvernait une ville et qu'il était subordonné à pacha d'Akhaltsikhé. Son siège était protégé d'une tour en pierre et se trouvait sur une éminence à 4 km de distance au nord de la ville (1, p. 264). Actuellement c'est le territoire de la colline de Batoumi.

D'après lui, au port de Batoumi, on construisait des navires capables de flotter non seulement sur la mer, mais aussi sur le fleuve. Il s'agit du type de bateaux lasiens, qui à cette époque-là était très répandu. Aussi grave est le renseignement de Dupret, que dans le but de mise en valeur la ville, les autorités locales donnèrent la permission aux immigrants turques et grecs d'affermier des terrains sur le territoire urbain(1, p. 264).

A l'ouvrage du conseil de France à Tbilissi (1820-1824) Jacques François Gamba « Le Voyage en Transcaucasie » il y a plusieurs renseignements au sujet de Batoumi des années vingt du XIX-e siècle. L'information de Gamba est peu abondante parce que comme il indiquait lui-même, il n'avait pas la possibilité de visiter plusieurs villes de l'Adjara, y compris Batoumi. Gamba tente de combler cette lacune par le moyen des renseignements qu'il avait en main et avant tout c'était l'information de Dupret dont nous avons déjà parlé.

Selon lui «Batoumi est possédé par les Turques. C'est le port confortable, où les navires ayant un tirant d'eau de trois cent tonnes sont défendus des vents de toutes sortes. Malheureusement ni les Turques et ni les Européens n'utilisent ce port. A Batoumi on vend du caviar, du poisson sec, qui sont très demandés et coûtent assez chers » (1, p.265).

Telles sont en bref les points de vue des Français au sujet de Batoumi au début du XIX –e siècle. Ces informations représentent des précieux matériaux pour étudier l'histoire de la ville à cette époque.

Bibliographie :

1. Jacques François Gamba. Le voyage en Transcaucasie. Tbilissi, 1987.

უკანს კაფა

ნაჯვარი

მოკლე მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა

ერთი უცნაური ცხოველი მყავს, ნახევრად კნუტი, ნახევრად ბატკანი. ეს მემკვიდრეობითი წილია მამაჩემის ქონებიდან. იგი ჩემ ხელში გაიზარდა. ადრე უფრო ბატკანი ეთქმოდა, ვიდრე კნუტი. ახლა კი ორივესი თანაბრად აქვს, კატის - თავი და ბრჭყალები, ბატკნის - ზომა და აღნაგობა, ორივესი - მოციმციმე და ველური თვალები, აგრეთვე ფაფუკი და პატარა ბეწვი, რომელიც სხეულზე მჭიდროდ აქვს მიკრული. იგი უფრო დაკუნტრუშებს, ვიდრე დაიზღაზნება. როცა მზე მცხუნვარედ ანათებს, ჩემი ცხოველი იწელება და მრგვალდება, მდელოზე გადარეულივით დარბის და არ ხერხდება მისი დაჭერა. კატებს გაუბრბის, ბატკნებზე კი თავდასხმა სწადია. მთვარიან ღამეს მისი საყვარელი ადგილი სახლის სახურავია. კნავილი არ შეუძლია, ვირთხების კი ეშინია. საქათმის გვერდით საათობით შეუძლია ჩასაფრება, თუმცა, ნადავლის ხელში ჩაგდების ხელსაყრელი შემთხვევით არასოდეს უსარგებლია.

მას ტკბილი რძით ვკვებავ, რასაც საუკეთესოდ ირგებს. ეს საოცარი არსება გრძელი ენით ყველაფერს ცხოველურ კბილებში შეისრიალებს ხოლმე. რასაკვირველია, ეს ბავშვებისათვის დიდი სანახაობაა. კვირას, ნაშუადღევს, სტუმრობის დროა. ჩემი ცხოველი კალთაში მყავს, მთელი სამეზობლოს ბავშვები კი გარს არიან შემორტყმულნი.

ამ დროს მისვამენ ისინი უცნაურ შეკითხვებს, რაზეც პასუხის გაცემა არ შემიძლია. ბავშვებს აინტერესებთ, რატომ არის ეს ცხოველი სწორედ ასეთი, ან არსებობდა თუ არა ოდესმე მისი მსგავსი, რა მოხდება მისი სიკვდილის შემდეგ, გრძნობს თუ არა თავს მარტოსულად, რატომ არ ჰყავს შვილები და ა.შ.

მათზე პასუხი არ მაქვს და განმარტებებითაც ვერ დავაკმაყოფილებ მასზე, რაც მყავს და რასაც ხედავენ. ხანდახან ბავშვებს კატებიც მოჰყავთ თან. ერთხელ ორი ბატკანიც მოიყვანეს და, მიუხედავად მათი მოლოდინისა, გაცნობის სცენის გარეშე, ცხოველები ერთმანეთს მშვიდი თვალებით უცქერდნენ, ბავშვები კი მათ არსებობას აშკარად ღვთიურობის თანაზიარ ფაქტად თვლიდნენ.

ჩემ კალთაში მას არც შიში იპყრობს და არც არავის დევნის სურვილი. ჩემზე მისუტყბული საუკეთესოდ გრძნობს თავს. სწორედ ესაა მისი ოჯახი, რომელმაც გამოზარდა. საოცარია ამ არსების უჩვეულო ერთგულება და ჭეშმარიტი ინსტიქტი.

დედამიწაზე მას, ალბათ, ურიცხვი ნათესავი ჰყავს, სისხლით ახლობელი კი, შესაძლოა, არც ერთი და ამიტომ ზრუნვა, რომელსაც იგი ჩვენთან გრძნობს, წმიდათაწმიდაა მისთვის.

ხანდახან სიცილს ვერ ვიკავებ, როდესაც მყნოსავს, იმავდროულად, ფეხებში მებლანდება და თითქმის არ მცილდება. თითქოს, საკმარისი არ არის, რომ კატაც არის და ბატკანიც, თან ძაღლობასაც იჩემებს.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, როდესაც საქმეებით ვიყავი დაკავებული, ისე გადავიღალე, რომ ყველაფრისთვის თავის მინებებსაც კი ვაპირებდი. ამ დროს სავარძელში ვიწექი, ხოლო ჩემი ცხოველი კალთაში მეჯდა და როდესაც შემთხვევით ზემოთ ავიხედე, დავინახე, თუ როგორ მოწანწკარებდა ცრემლები გრძელ, ფაფუკ წვერზე. ჩემი ცრემლები იყო ეს თუ მისი? ჰქონდა თუ არა ამ კატას ბატკნის სული და ადამიანური სიხარბე? ეს არის მემკვიდრეობითი წილი მამაჩემისაგან, რის თქმაც თამამად შემიძლია.

ეს არსება ორმაგად შფოთავს, რაც მას კატისა და ბატკნისაგან განასხვავებს, ამიტომ ბევრი ძალიან მოკლე აქვს. ხანდახან, სავარძელზე, ჩემ გვერდით ამოხტება, მბზვენს თათებს მხრებზე და ისე ახლოს მოაქვს დრუნჩი ჩემ ყურთან, თითქოს, რაღაცას მეუბნებაო და მერე გადმოიხრება, მიცქერს სახეში, რათა დააკვირდეს, რა შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე მისი ნათქვამი. თავაზიანობა რომ გამოვიჩინო, თავს ვუქნევ, რის შემდეგ ხტება იატაკზე და ცეკვა-ცეკვით მივლის გარს.

აღბათ, ამ ცხოველისთვის ყასაბის დანა ხსნა იქნებოდა, რაც ჩემი საქმე უნდა ყოფილიყო, როგორც მემკვიდრეობის ამ ნაწილზე უარის თქმა. მაგრამ მან უნდა დაიცადოს, სანამ თავისთავად არ ამოხდებდა სული, რადგან გონიერი ადამიანის მზერა, რომლითაც იგი ხანდახან მიცქერს, თანაგრძნობის გამომხატველ საქციელს მოითხოვს ჩემგან.

მოკლე მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა

ვენის მცხოვრებს თუ რაიმე პრობლემა აქვს, ან არა აქვს, თუ საკუთარ თავთან მარტო სურს დარჩენა, ან ადამიანებთან ურთიერთობა სწადია, თუ დაღლილია, ან მხნედ გრძნობს თავს, ფილოსოფიური საუბრებისათვის არის განწყობილი, ან, თუნდაც, სახლიდან გასვლას აპირებს, მიდის ყავის სახლში, რათა მიირთვას ყავა და თან სახეიმო განწყობილებაც შეიქმნას. ყოველ შემთხვევაში, ვენაში ასე ირწმუნებიან.

ყავის სახლის კულტურა ავსტრიის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამჟამად აქ ოთხასი ყავის სახლია. XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე კი, თურმე ოხიათასს ითვლიდნენ. ვენის ასწლოვანი დაწესებულების ხიბლი, სანახაობასთან ერთად, აჯადოებს დამთვალიერებელს და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს ნოსტალგია იპყრობს.

ყავის კულტურა ვენასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისეთ მხატვრებსა და მწერლებს, როგორებიც იყვნენ ფრანც გრილპარცერი, ფრანც ვერფელი და რობერტ მუზილი, მუდმივი ადგილები ჰქონდათ შერჩეული ცენტრალურ ყავის სახლებში, სადაც ისინი მართავდნენ ინტელექტუალურ საუბრებს, ან წრუპდნენ ყავას და თან წერდნენ. ლიტერატორმა ალფრედ პოლგრანმა ამ საკითხთან დაკავშირებით „კაფეცენტრის თეორია“ კი შექმნა. სამწუხაროდ, დიდი კულტურული დებატების დრო დამთავრდა, მაგრამ ყავის სახლების მიმზიდველობა და კულტურული აურა დღესაც შენარჩუნებულია.

და მაინც, როგორ დაიწყო ყავის სახლის ტრადიცია ვენაში? ცნობილია, რომ ყავა ავსტრიული წარმოშობის სასმელი არ არის. ის ავსტრიაში თურქებმა შემოიტანეს, რომლებმაც XVI–XVII საუკუნეებში მთელი ბალკანეთი დაიპყრეს და ვენის კარიბჭეებშიც შემოაღწიეს. თუმცა, ისინი დაპყრობილი ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მარტო ხმლითა და მახვილით კი არ შემოვიდნენ, არამედ კულტურაც შემოიტანეს.

1683 წელს, ვენაში მეორედ შემოჭრისას, ორთვიანი ალყის დროს, ქალაქს, საზიაროდ, ავსტრიული სამხედრო ნაწილები და პოლონეთის მეფე იოჰან მეხამე სობიესკი იცავდნენ. ამ დროს პოლონელ ჯარისკაცებთან იმყოფებოდა კაცი, სახელად ფრანც გეორგ კოშიცკი, რომელიც ავსტრიელებისათვის აგენტისა და მსტოვრის მისიას ასრულებდა. იგი, თურმე, თურქების ბანაკში გადაცემული შეიპარებოდა ხოლმე, რათა ეჯამუშა. იმავედროულად, იქ იგი აგემოვნებდა ძალის მომცემ, მრუმე, მათრობელა სასმელს, თურქები ხშირად რომ მიირთმევდნენ ხოლმე და... ეს სასმელი იყო ყავა.

თურქებზე გამარჯვების შემდეგ, ავსტრიელები იერიშით შეიჭრნენ მიტოვებულ ბანაკებში. ისინი ეზიდებოდნენ ყველაფერს, რისი წამოღებაც კი შეიძლებოდა.

მაგრამ ყავის მრუმე მარცვლებს თავი და ბოლო ვერ გაუგეს, რადგან არ იცოდნენ რაში გამოეყენებინათ ისინი, საჭმელად თუ საწვავად; ხოლო კოშიცკის, რომელსაც უკვე დაეგემოვნებინა ეს სასმელი, თავისუფლად შეეძლო მისი მოხმარება.

ამის შემდეგ, ავსტრიის წინაშე დამსახურებისათვის, კოშიცკიმ მოიპოვა უფლება, ვენაში პირველი ყავის სახლი გაეხსნა. ასე გავრცელდა ყავა ავსტრიაში, შემდეგ კი მთელ ევროპაში, თავდაპირველად – სამეფო კარზე, მოგვიანებით კი საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში, რის შემდეგაც ვენის კულტურა ამ სასმელის გარეშე ვეღარ მოიაზრებოდა. ასე ყვებიან ყავის ისტორიას ვენაში.

დღეისათვის ავსტრიაში ამ სასმელის მრავალი სახეობაა ცნობილი: „მელანჯი“ (რძიანი ყავა), „ბრაუნერი“ (ყავა, ცოტა რძით), „შავი“ (რძის გარეშე), „აინშპენერი“ (ყავა ნაღებით), „ფიაკრი“ (ყავა, რომელშიც ჩამატებულია ალუბლის წვენი, ან რომი). ამათ გარდა გავრცელებულია ყავის სხვა სახეობანიც.

ყავასთან ერთად ჩვეულებრივ ტკბილეულსაც შეექცევთან ხოლმე. ეს არის ფქვილისა და შაქრისაგან დამზადებული ნამცხვრები, განსხვავებული არომატებით.

ეს ტკბილეული არაბული წარმოშობისაა და ვენაში, სავარაუდოდ, XII საუკუნეში შემოვიდა, მაშინ, როდესაც ავსტრიას ბამენბერგელი ჰერცოგები მართავდნენ, ისინი კი, ჩვეულებისამებრ, ბიზანტიელ ქალბატონებზე ქორწინდებოდნენ. XIX საუკუნემდე მხოლოდ დიდგვაროვნებს შეეძლოთ ამ გამორჩეული ტკბილეულით პირის ჩაგემრიელება, მაგრამ, როდესაც ჩრდილოეთ ევროპაში შაქრის ჭარხლისაგან შაქრის იოლი გზით მოპოვება შეძლეს, ტკბილეული ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოების ყველა ფენისათვის.

შექმნა თუ არა ნამდვილად კოშიცკიმ „ვანილის კიფერლი“, ანუ ავსტრიაში ყველაზე ცნობილი ნამცხვარი, ამის თაობაზე ზუსტად არაფერია ცნობილი, მაგრამ, თურქეთის დროშაზე გამოხატული ნახევარმთვარე, შესაძლოა, მისი ფანტაზიის ნაყოფიც იყოს და წარმოვიდგინოთ, რომ, როცა კოშიცკი მადიანად შეექცეოდა გემრიელ ნამცხვარს, ამით თურქების დამცირებას ცდილობდა, მაგრამ ეს უფრო ლეგენდების სფეროს შეიძლება მივაკუთნოთ, ვიდრე რეალურ ფაქტს.

ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი შარლ-მორის დე ტალეირან პერივორი ამბობდა: „ყავა ჯოჯოხეთივით ცხელი უნდა იყოს, ტარტაროზივით შავი, ანგელოზივით წმინდა და სიყვარულივით ტკბილი.“

ხოლო ცნობილ ფილოსოფოსს – ვოლტერს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს: „თუკი ყავა შხამია, მეტად ნელი მიქმედების ყოფილა, ვინაიდან უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მისი წყალობით ვკვდები.“

უხნოზი ავტორი

კურდღლები ტირანია ანუ უკანასკნელი ტყუილი

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა

მამაჩემს დიდ პატივს ვცემდი; მაგრამ ჩემს ბავშვობაში ისე არ ხდებოდა, როგორც დღეს ხდება ხოლმე, როცა შვილები მამასთან საკამათოდ სხდებიან, მამები კი უსმენენ და ცდილობენ მათ მცდარი აზრი სიყვარულითა და გონივრულად გადაათქმევინონ: არა, იმხანად ამას აღზრდა ერქვა, ან უბრალოდ, ეს ბრძანების შესრულებას ნიშნავდა.

მამაჩემის მიმართ უფრო პატივისცემას ვგრძნობდი, ვიდრე სიყვარულს. ცხრა წლისას კი თავს ისეთი ამბავი გადაამხდა, რამაც მის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ძირფესვიანად შეცვალა. ყოველივე ეს კი ტყუილით დაიწყო.

იმხანად რვა წელი მისრულდებოდა და ვნატრობდი, ნეტავ ბოცვრები მყავდეს-მეთქი, ჰოდა, მამამ რამდენიმე ძალიან პატარა ბოცვერი მანუქა, მაგრამ თან მითხრა, ძალიან ჯიშინები არიანო. მერე აღელვებულმა მეც სადღაც წავიკითხე, რომ ზოგი მათგანი ხშირად თორმეტ ფუნტსაც კი იწონიდა. ისიც შევიტყვე, რომ დედალ კურდღელს წელიწადში შეექმლო ოცი ბაჭია დაეყარა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ოცივეს მოვუვლიდი და წლის ბოლოს უკვე ცხრა-ათი წყვილი ბოცვერი მეყოლებოდა, მათ გაისად ორასი ცალი შეემატებოდათ და მომდევნო წელს კი მათი რიცხვი უკვე ათასს მიაღწევდა. ფურცელი და ფანქარი მოვიმარჯვე, რათა ჩემი მოკრძალებული მათემატიკური ცოდნა კურდღლების რაოდენობის გამოსაანგარიშებლად გამომეყენებინა. და აი, დავინახე, რომ დაახლოებით ორ წელიწადში მდიდარი კაცი ვიქნებოდი. ხის ყუთი ავიღე და კურდღლების სადგომის გაკეთებას შევუდექი. ამას რომ ვსაქმიანობდი, მამა იმასაც დამპირდა, დასაკლავ ბოცვრებს დედაშენის სამზარეულოში მივუჩენ ადგილს და თითოს ორმოცდაათ პფენინგად* შევიძენ შენგანო. ეს უზარმაზარი თანხა იყო ჩემთვის, რადგან ოც პფენინგს ჯიბის ფულად მაძლევდნენ ხოლმე. სამწუხაროდ, მამამ იქვე დასძინა, ეს ფული ყულაბაში უნდა შეინახო. ყულაბა ოთახში პიანინოზე იდგა და მას ისე ვუყურებდი, როგორც ჩემ საძულველ მტერს. ვნატრობდი, იმის უფლება მაინც მოეცათ, ყულაბიდან ცოტაოდენი თანხა ველოსიპედის საყიდლად გამომეყენებინა, რაზეც ასე მხურვალედ ვოცნებობდი. მაგრამ მამაჩემი საერთოდ არ ფიქრობდა, ჩემთვის ეს სურვილი აესრულებინა.

მინდა გითხრათ, რომ აქ ლაპარაკს ჩემ ველოსიპედზე კი არ ვაპირებ, რომლის ყიდვაც არ მაღირსეს, არამედ იმ ბოცვრებზე, დაბადების დღეზე რომ მანუქეს. პირველ ხანებში სკოლიდან შინ მოვიჩქაროდი. ერთი სული მქონდა, ჩემი კურდღლები მენახა. დიახ, სწორედ ასე იყო დასაწყისში, მაგრამ მალე სიხარული ვაღდებულეზად

* გერმანული სურდა ფულის ერთეული(მთარგმნ. შენიშვ.)

გადაიქცა, ვალდებულება კი – მძიმე ტვირთად. ზაფხულში სხვა ბიჭებთან ერთად სათევზაოდ ან საბანაოდ წასვლას რომ მოვიწადინებდი, მამა მკითხავდა, კურდღლებს თუ დაუყარე ბალახიო, ან, როცა ნაშუადღევს, ფეხბურთის თამაშიდან დაღლილი შინ ვბრუნდებოდი, მისი პირველი კითხვა იყო, კურდღლებს ბალახი თუ მოუტანეო. მე რა თქმა უნდა, ბალახი არ მქონდა წამოღებული, რადგან ბოცვრები სულაც არ გამხსენებია, ამიტომ ახლა ბალახის მოსატანად ისევ უკან უნდა გავბრუნებულიყავი.

ამასობაში ჩემი კურდღლებიც მრავლდებოდნენ და ამ მხრივ ოცნებებიც მისრულდებოდა; მაგრამ უკვე კარგა ხანი იყო, მათ ოცნებები აღარ ეთქმოდათ, რადგან ვგრძნობდი, რომ ამ ცხოველებს ვეღარ ვიტანდი.

ზამთარში, როცა მწვანე ბალახი აღარ იშოვებოდა, მამა ერთ ცენტნერ თივას და ჭარხალს ყიდულობდა, რათა კურდღლებს საკვები არ მოჰკლებოდათ, მაგრამ მე ზამთრის სიცივეში, ყოველ დილით, სკოლაში წასვლამდე, იძულებული ვიყავი ეზოში ჩავსულიყავი, რათა ცხოველები გამომეკეცება, სადამოობით კი დათოვლილი ეზო ხელმეორედ უნდა გამეველო და სადგომიც გამომესუფთაებინა.

ამასობაში კურდღლების რაოდენობა თორმეტამდე გაიზარდა. თორმეტივე რომ გამეძლო, საკვები დღეში ორჯერ მინდორში უნდა შემეგროვებინა და შინ მომეტანა, დიახ, დღეში ორჯერ, რაც ჩემ ძალებს სრულიად აღემატებოდა, ამიტომ დღედაღამ იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეღწია თავი კურდღლების ტირანისაგან.

როცა ერთ საღამოს, ვახშობისას შევიტყვე, რომ მამაჩემი მეგობრებს დაეპატიებინათ და მოულოდნელად წასულიყო სახლიდან, მალულად გამოვედი ჩემი ოთახიდან, ფეხაკრეფით ჩავიარე სახლის კიბე და ეზოში უკანა ჭიშკრიდან გავედი. კურდღლების სადგომი გავადე და ტომარა მოვათრიე. ჯიბის ფარანი თან მქონდა; კურდღლები სათითაოდ ამოვიყვანე თავიანთი სადგომიდან და დიდ ტომარაში ჩავტენე.

ეს საქმე რომ მოვათავე, სადგომის კარი პირამდე ღია დავტოვე და უკუნეთ ღამეში მინდვრისაკენ გავეშურე. მერწმუნეთ, ეს საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო და იძულებული ვიყავი ერთი-ორჯერ მაინც შემესვენა; ორჯერ უკან დაბრუნებაც კი გადავწყვიტე, მაგრამ ბოლოს ჩაფიქრებული საქმე აღვასრულე და ცხოველების ტირანისგან გავთავისუფლდი.

და აი, ბოლოს და ბოლოს, ეს შევკელი. მინდორში ტომარა ძირს დავდე და თოკი შევხსენი, პოდა, კურდღლებმა დრო იხელთეს და ამოხტნენ, ზოგი მარჯვნივ, ზოგი კი მარცხნივ გარბოდა. მერე მხიარულად შეუდგნენ ბალახის ძოვას და სხვადასხვა მხარეს გაკუნტრუშდნენ. ბოლოს, როცა ყველაზე პაწაწინა ბოცვერი დანარჩენებს გაჰყვა და თვალს მიეფარა, ჩემ ირგვლივ სიცარიელემ დაისადგურა.

მეორე დილით, კვირა დღეს, ეზოში ჩავირბინე. სახლში ჯერ კიდევ ყველას ეძინა. კურდღლების სადგომთან გავჩერდი და ყვირილი მოვრთე. როგორც აღმოჩნდა, ცხრა წლის ბიჭი უკვე ჩინებული მსახიობი ვიყავი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვყვიროდი:

– გაგვქურდეს, გაგვქურდეს! მოიპარეს!

ზემთო, სახლში ფანჯრები გაიღო, მერე ჯერ დედამ გადმოიხედა და მის უკან მაშინვე მამის სახეც დავინახე.

– კი მაგრამ, მანდ რა გინდა, რას აკეთებ? – დაიყვირა მამამ.

– კურდღლები მომპარეს!

ეს ვთქვი და ხმამაღლა მოვრთე წივილ-კივილი. მამაჩემი ქვემოთ ჩამოვიდა, ზარალი დაათვალიერა და მაშინვე სცადა ვენუგეშებიანე. ძალიან სერიოზულად ლაპარაკობდა და მეც ამ დროს უცნაური შეგრძნება დამეუფლა, მივხვდი, რომ შემრცხვა ჩემი უპატიოსნო საქციელის და ეს ელვისებურად მოხდა. ამ წუთამდე ეს რაინდულ საქციელად მიმაჩნდა; ახლა კი, როცა ვიგრძენი, რომ მამამ მკლავები მომხვია და გულში ჩამიხუტა, ჩემი ტყუილისა საშინლად შემრცხვა.

– ეს შენთვის დიდი დანაკარგია, ჩემო ბიჭუნავ! მერედა, როგორ გიყვარდა მშვენიერი კურდღლები! მაგრამ საოცარი ისაა, რომ თავად ფარდულის კარი არ გაუტეხავთ. ღმერთო, ნეტა როგორ შეძლო ქურდმა შიგ შეღწევა?“ – თქვა მამამ.

– ო, ის გაიძვერა ქურდი! – შევძახე მე.

მამამ ნიკაპი ხელით ამიწია, რათა მისთვის თვალებში შემეხედა, მერე მითხრა: „კარგი, რაც მოხდა, მოხდა, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება, ამიტომ მე მინდა განუგეშო, რადგან მალე შენი დაბადების დღე მოდის, ამ დღისთვის ჩვენ ხვალვე ვიყიდით ველოსიპედს და დარდიც გადაგყვრება გულიდან, შევთანხმდით?“

ეს კი ნამდვილად მეტისმეტი იყო. ახლა მამა ჩემს სანუკვარ ოცნებაზე მელაპარაკებოდა. ჩემი სამარცხვინო საქციელისა წელან შემრცხვა, ახლა კი ნამდვილად დავიწყე ტირილი. ყალბი ცრემლები ჭეშმარიტმა შეცვალა. ვნატრობდი, ნეტავ მიწა გამისკდეს და ჩამიტანოს-მეთქი!“

– ველოსიპედი არ მინდა, მამა! – შევძახე მე.

– როგორ არა, ძალიანაც გინდა! – მომიგო მან.

– არა, არ მინდა! ნამდვილად არაფერში მჭირდება!

– გინდა, ველოსიპედი ხვალვე დაგჭირდება, რადგან მინდვრიდან ის ცარიელი ტომარა უნდა წამოიღო, წუხელ ღამით იქ რომ დაგრჩა...

მერე ისე მოხდა, რომ ვერასოდეს გავიგე, საიდან იცოდა მამამ ეს ყველაფერი. მთელი ცხოვრება ვაპირებდი, მეკითხა მისთვის ამის შესახებ, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა. იქნებ მამა უკვე მადევნებდა თვალყურს, როცა ამ საქმისთვის ვემზადებოდი, ვინ იცის, ან იქნებ, კვირა საღამოს სახლიდან საერთოდ არ გასულა და მალულად გამომყვა უკან. ერთი კია, იმ წუთიდან მოყოლებული, მამა მიყვარდა და ვიცოდი, რომ მასაც ძალიან ვუყვარდი. მას შემდეგ მისთვის ტყუილი აღარასდროს მითქვამს.

დიახ, ეს ჩემი ბავშვობის უკანასკნელი ტყუილი იყო.

ვოლფგანგ ბოჩსერტი

ცნობილი გერმანელი მწერალია. მისი შემოქმედების მთავარი თემაა ომი, მოვლენა, რომელიც ადამიანს სულიერად და ფიზიკურად ანადგურებს. ბოჩსერტი თავად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში და სწორედ საკუთარი თვალთ იქ ნანახი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა გაიხადა თავისი შემოქმედების უმთავრეს მიზნად.

ვოლფგანგ ბოჩსერტი

კედელი

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა

როცა ამ ქვეყნად აღარ იქნება ცრემლები, შიმშილი, ძრავა და მუსიკა, დარჩება მხოლოდ ქარი, რომელიც ქვაზე, მიწასა და თვით მარადიულ სიყვარულზეც დიდხანს იარსებებს. და მაშინ ის გადაიქცევა თოვლით დაფარული ჩვენი საფლავეების თავზე მანუგეშებელ სიმღერად. ზაფხულობით, სადამოქამს, მოესიყვარულება მშვენიერ ყვავილებს და მათთან ერთად დაიწყებს ცეკვას დღეს, ხვალ და მარადუამს. ქარის სიმღერა პირველი და თან უკანასკნელი ცხოვრების დიდი სიმფონიაა. სუნთქვა მისი მარადიული ჰანგია, აკვანსა და კუბოს რომ უმღერის. ქარს ჩურჩულის, ქუხილის, გუგუნისა და სტვენის გარდა არაფერი გააჩნია. უცნობია მისთვის სიკვდილი. იგი იქ მღერის, სადაც სიცოცხლეა. მაშინ ყვავილებიც მას მიენდობიან და ერთად დასცინიან ჩონჩხად ქცეულ სიკვდილს.

ბრძენმა ქარმა იცის, რომ თუ მოისურვებს, საბერველივით ფშვინვაც შეუძლია. სუნთქვა მისი ძალაა და არ არსებობს ამ ქვეყნად არაფერი, რაც მას დააბრკოლებს.

ერთ მარტოსულ, გაბზარულ კედელს, რომელიც ოდესღაც ერთი სახლის საკუთრება იყო, უკვე წყალი შედგომოდა და ცხოვრების არსზე დაფიქრებულს, დაღლილობაც ეტყობოდა. ზეცაში მუქარასავით მრუდედ აღმართული, შეურაცხყოფილი და მიტოვებული ჩანდა. ხოლო როცა ქარი თავის ფაფუკ მკლავებს შემოაჭდობდა, ნაზად ირხეოდა. სიამოვნებდა ქარის რბილი და თბილი მკლავების შეხება, მერე კი ისევ დაიწყებდა ოხვრას.

– კი მაგრამ, რა დაგემართა? – ჰკითხა ერთხელ კედელს ნაზად ახალგაზრდა ქარმა.

– იცი, ძალიან მარტოსული და უმიზნოდ დარჩენილი ვარ! – ამოიკვნესა ძველმა კედელმა.

– რაო, რაო, ნაღვლიანი ხარ? ე.ი. დაგივიწყეს, არა? განა ეგენი არ იყვნენ, ვისაც

მთელი ცხოვრება იცავდი, ზრუნავდი მათ აკვანზე, ქორწილსა და კუბოზე. მათ კი დაგივიწყეს, მიგატოვეს. უმადურნი არიან ადამიანები!

ეს კარგად მოეხსენებოდა ახალგაზრდა ქარს, საკმაოდ ბრძენი რომ იყო.

– დიახ, დამივიწყეს, მიმატოვეს, მართლაც, რა უმადურნი არიან ადამიანები! – მოთქვამდა ძველი კედელი.

– კარგი, გეყოფა! – დამშვიდება სცადა ქარმა.

– მაშ, ახლა რას მირჩევ? – შეეკითხა კედელი.

– შური უნდა იძიო! – ჩასჩურჩულა ქარმა.

– კი მაგრამ, როგორ? რანაირად? – დაინტერესდა კედელი.

– უნდა დაინგრე! – ნიშნის მოგებით და თან მხიარულად მიუგო ქარმა.

– რატომ მირჩევ მაგას? – ჩაეკითხა აკანკალებული კედელი.

მაშინ ქარმა კედელი ოდნავ წინ გადახარა, ისე რომ საბრალო კედელს ძვლებმა ჭრიალი დაუწყეს და დაინახა, თუ როგორ ირეოდნენ, სადღაც, ქვევით ადამიანები.

– იცი, რას გეტყვი, თუ მოინდომებ, შეძლებ! – ისევ და ისევ ჩასჩინებდა მას ყოველისმცოდნე ქარი.

– არ ვიცი, შევეცდები! – ამოიოხრა კედელმა.

– მაშინ სცადე, რომ დაინგრე! – დაუღრიალა ქარმა.

მერე მოიგდო კედელი ახალგაზრდა მკლავებში, თავისკენ მიიზიდა, ზევით ოდნავ ასწია და როცა ხელი გაუშვა, შუაზე გააპო. იწყო კედელმა ნგრევა, თუმცა, როცა დაინახა, თუ როგორ დაფუსფუსებდნენ მის თვალწინ ადამიანები, უმაღლ დაივიწყა წყენა, სიძულვილი და შურისძიება. საოცარი იყო, რომ მას მაინც უყვარდა ისინი, ამიტომ ბოლო წუთს მაინც შეეცადა, წამომართულიყო, მაგრამ ქარი ფხიზლად და გაფაციცებით შეჰყურებდა. უთავაზა კიდევ პანდური და კედელიც ისე ზღართანით, ჭრიალითა და ტკაცანით დაენარცხა მიწას, რომ ქვეშ მოიყოლა ქალი, ორი ბავშვი და ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ის-ის იყო ომიდან შინ ბრუნდებოდა. მაშინ ხმამაღლა ატირდა სულთმობრძავი კედელი და როცა უკანასკნელი ძალები ძლივსდა მოიკრიბა, მაინც ჰკითხა ქარს: – კი მაგრამ, რატომ, რატომ ჩამადენინე ეს? მე ხომ ისინი ყოველთვის მიყვარდა?!

ქარი კი ხარხარებდა, ხედავდა, რომ კედლის აღსასრული დამდგარიყო. ის უზომოდ ძლიერი, ძველთაძველი და თან ახალგაზრდაც იყო, ამასთან, მეტად უგულო. თუმცა, თუ მოისურვებდა, შეეძლო, ნაზი და აღერსიანიც ყოფილიყო, მაგრამ მან ახლა ოთხი ადამიანი იმსხვერპლა და სამუდამოდ, მარადიული ძილით მიაძინა.

მერე კვლავ გაისმა ახალგაზრდა ქარის სიცილის ხმა, ქარის, რომელიც ქვაზე, მიწასა და თვით სიყვარულზეც მარადიული არის.

პოლუგანგ პორსეჩი

პური

თარგმანი

გერმანულიდან თარგმნა ლელა თელიაშვილმა

ქალს უეცრად გამოეღვიძა. სამის ნახევარი იყო. დაფიქრდა, ნეტავ რამ გამომაღვიძაო. აი, თურმე რა! სამზარეულოში თითქოს ვიღაც წამოედო სკამს და ის ხმაური შემოესმა. სამზარეულოს მიაყურადა. იქიდან ჩამიწუმი არ ისმოდა. სამარისებური სიჩუმე იდგა. როდესაც ქალმა საწოლის გვერდით აღვილი ხელით მოსინჯა, იქ სიცარიელე დახვდა. ალბათ ასეთი სიჩუმე იმიტომ ჩამოწოლილიყო, რომ კაცის სუნთქვა აღარ ისმოდა. ქალი ადგა, ბნელი ოთახი გაიარა და სამზარეულოში გაბორიალდა. აქ შეეფეთა ცოლ-ქმარი ერთმანეთს. სამის ნახევარი იყო. ქალმა სამზარეულოს კარდასთან რაღაც თეთრივით დალანდა და სინათლე აანთო. ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ შუაღამისას, სამის ნახევარზე, სამზარეულოში.

მაგიდაზე პურის თეფში იდო. ქალმა შენიშნა, რომ კაცს პური დაეჭრა. დანა ჯერ ისევ თეფშთან იდო. სუფრასზე პურის ნამცეცები ეყარა. ცოლ-ქმარი საღამოობით დასაძინებლად რომ წვებოდა, ქალი სუფრას ყოველთვის გადმობერტყავდა ხოლმე. ყოველ საღამოს. ახლა კი, ზედ პურის ნაფხვენები ეყარა. დანაც იქვე იყო. ქალმა იგრძნო ნელ-ნელა როგორ დაუარა ტანში ფილაქნის სიცივემ და თეფშს თვალი აარიდა.

„ვიფიქრე, აქ რაღაც მოხდა-მეთქი“, თქვა კაცმა და სამზარეულოში მიიხედ-მოიხედა.

„მეც რაღაც ხმები მომესმა“ – მიუგო ქალმა და თან გაიფიქრა, რომ ღამით, ლოგინიდან წამომდგარი კაცი, უფრო ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, სამოცდასამისა. დღისით მას ხანდახან უფრო ახალგაზრდული იერი ჰქონდა. ქმარს კი თავში გაუეღვა: საღამურ პერანგში ჩემი ცოლი უფრო ხნიერი ჩანს, მაგრამ ეს ალბათ თმების ბრალია. ღამით ქალები ყოველთვის ასე გამოიყურებიან. თმა უცებ აბერებს ხოლმე“.

„ფლოსტები მაინც ჩაგეცვა. ასე ფეხშიშველი როგორ დგახარ ცივ ფილაქანზე, არ გაცივდე!“

ქალი მას სახეში არ უყურებდა. ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ კაცმა იცრუა. დიახ, მან ოცდაცხრამეტი წლის თანაცხოვრების შემდეგ პირველად იცრუა.

„ვიფიქრე, აქ ვიღაც არის-მეთქი“ – თქვა კაცმა და უაზრო მზერა სამზარეულოს ერთი კუთხიდან მეორეზე გადაიტანა. „რაღაც ხმა შემომესმა, ვიფიქრე, აქ რაღაც მოხდა-მეთქი“ – გაიმეორა ისევ.

„ჰო, მეც გავიგონე რაღაც, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არაფერი მომხდარა“ – მიუგო ქალმა, მერე თეფში მაგიდიდან გადადგა და სუფრიდან პურის ნამცეცები გადმოფერთხა.

„ჰო, არაფერი მომხდარა!“ – ექოსავით გაიმეორა კაცმა ჭოჭმანით.

ქალმა გასამხნევებლად უთხრა: ეტყობა, ხმა გარედან შემოგვესმა, წამოდი, წამოდი, დაწევი, დაწევი. ცივ ფილაქანზე დგახარ, გაცივდები!“

კაცმა ფანჯარაში გაიხედა – „ჰო, ხმა ალბათ გარედან შემომესმა; მე კი ვიფიქრე, აქ რაღაც ხდება-მეთქი“.

ქალმა ხელი ჩამრთველისაკენ წაიღო და თან გაიფიქრა: „ახლა სინათლე უნდა გამოვრთო, თორემ ისევ თეფშისკენ გამეკცევა თვალი. იმ თეფშს აღარ უნდა შევხედო.“

სინათლე გამორთო. მერე ქმარს უთხრა: „წამოდი, წამოდი! ის ხმა ნამდვილად გარედან შემოგვესმა. ქარის დროს წვიმის ღარი ეხეთქება კედელს და ასეთ ხმას გამოსცემს“. მერე ორივენი ბნელ დერეფანში გაბორიალდნენ და საძინებელ ოთახში შევიდნენ. მათ ფეხებს იატაკზე ტყაპატყუპი გაჰქონდა.

„ჰო, ნამდვილად ქარი იყო, მთელი ღამე არ ჩამდგარა“ – თქვა კაცმა, უკვე საწოლში რომ იწვნენ.

„ჰო, ქარიანი ღამეა, წვიმის ღარი რახრახებდა“ – დაამატა ქალმა.

„ჰო, ასეა, მე კი ვიფიქრე, რომ სამზარეულოში ხდებოდა რაღაც. ჰო, ჰო, ნამდვილად წვიმის ღარი იყო“ – ისე თქვა კაცმა, თითქოს ძილ-ბურანშიაო.

მაგრამ ქალს არ გამოჰპარვია, რა არაბუნებრივი ხმით ცრუობდა ქმარი.

„ცივა, ახლა საბნის ქვეშ შევძვრები, ღამე მშვიდობის!“ – თქვა ქალმა და დაამთქნარა.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალს მოესმა, რომ კაცი ჩუმად და ფხიზლად რაღაცას ღეჭავდა. ქალი ღრმად და თანაბრად სუნთქავდა, რათა ქმარს არ შეემჩნია, რომ მას ჯერ არ ეძინა. მაგრამ კაცი ისე ერთფეროვნად და გულდასმით ღეჭავდა, რომ ამ ხმაზე ქალს უნებურად ჩაეძინა.

მეორე საღამოს, ვიდრე კაცი შინ დაბრუნდებოდა, ქალმა მას ოთხი ნაჭერი პური მოუმზადა, როცა ჩვეულებრივ მას სამი ნაჭერი ერგებოდა ხოლმე. „ოთხივე ნაჭერი მშვიდად ჭამე“- უთხრა ქალმა და ლამპის შუქს გაერიდა. „ეს პური ცოტა არ იყოს, მწყენს, შეჭამე ჩემი წილიც. მე მართლა მწყენს“. ქალს ქმარი ძალიან შეებრადა, როცა ის მთლად მოიკუნტა, თეფშისკენ გადაიხარა და თავი ზევით აღარ აუწევია.

„ორი ნაჭერი რას გეყოფა?!“ – უთხრა კაცმა ისე, რომ თეფშისთვის თვალი არ მოუცივლებია.

„როგორ არ მეყოფა?! საღამოობით პური მწყენს ხოლმე. ჭამე, ჭამე!“

მერე, დრო რომ გავიდა, ქალი მხოლოდ მაშინდა მიუჯდა მთვარის შუქით განათებულ მაგიდას.

ნატო თხილავა

დროის დერეფანი

გუ-გუ, გუ-გუ, გუ-გუ, –

საათის ფრინველმა ამოიხრიალა და უცებ მიიმალა თავის ბუდეში. დახშული არის დროის დერეფანი და მას ადევს ურდული უხეში. შუაღამემ ჩემს სენაკში დაივანა და გაამძაფრა დერეფნის განცდა.

მერე ფიქრი ფიქრს მიეტმასნა და დერეფნის სივრცესაც გასცდა.

სამი დაოთხილი დრო მიმოიკლაკნა, – თავი ამოჰყო დროის გუბეში.

ღამემ ოცნებები შემოიტანა, – ზამთრის ზღაპარი და ნუგეში.

ჩემი თოვლხელება დაიძაგრა, თითქოს დროის გადალახვა უნდოდეს.

თოვლის ხელით მან შორეთი შემოსაზა: იქ მუდმივობა სუფევსო...

საიდან მოსულხარ, თოვლხელება დედოფალო? – ხედავ, დამდგარა აქ დროის სინესტე...

ხელი რომც დაგიდნეს, როს ზაფხულს მიეახლო, იყავ მარადისის იმედზე!

აქ ნულა ყოვნდები, დროზე გაიარე... ქარმა ჩამოგლიჯა კარიბჭეს კლიტე.

ეს მოგონება თან საგზლად წაიღე, ხელებით რამდენსაც დაიტვე.

თუკი ასეთია: მე, შენ და ჩვენ არჩევანი,

მსურს აქ წუთით ზამთრის ზღაპარს ჰყვებოდე,

რადგან ნოტიოა დროის დერეფანი,

იქ ზაფხულის ხვატს ეფიცებოდე.

მსურს თან გაიყოლო ძველი ოცნებები,

როცა აქ სამის მერე აღარ იქნები და

იქ ზაფხულს მიაფანტო სუსხის თოჯინები,

ზამთრის მომნუსხველი ფიფქებიც.

აი ასეთია დროის დერეფანი, –

გუ-გუ... შიგ ბევრი თოვლხელება

გასულა,

სული მოუთქვამს დროის დერეფანში და

მერე სამუდამოდ წასულა.

ჩემო მომნუსხველო დედოფალო,

ქარ-ნამქერს რად მიანდე ფიქრები?!

თუ იქ მუდმივ ზაფხულში თოვლი წამოვიდეს,

იცოდე, მეც შენთან ვიქნები...

გუ-გუ, გუ-გუ, – ჩიტმა ამოიხრიალა

და თოვლხელებამ ოცნება თან წაიღო...

როცა სამი დაოთხილი დრო მიმოიკლაკნა

და დროის დერეფანი გაიღო.

ჰინჩის ჰინე

სამაისო

ლექსი

გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილაგამ

სიწარმტაცით გასაოცარ ვარდობისას,
ყველა კვირტმა როს ყვავილი გამოისხა,
აი მაშინ ამ ჩემს გულში დამდაგველი
ტრფობის ალი შემოიჭრა.

სიწარმტაცით გასაოცარ ვარდობისას,
ყველა ჩიტის გაღობა როს შემოისმა,
მაისს მაშინ გაეუმხილე საიდუმლო –
ჩემი კაემანი და გულისტქმა.

იოჰან პოლფანგ პოეთა

დამის მგზავრული

ლექსი

გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილაგამ

მთის მწვერვალები სიხუმეში გადაძირულან,
ხის კენწეროთა ფშვინვა-შრიალიც არ ისმის ლამის.
ტყეში ფრინველთა უივილია მიწყნარებული,
შენც მიიძინებ... არ გეშინოდეს, ძმობილო, ამის.

გიორგი ჭყონია

ლექსები

fucatus rosa*

ეს ხელოვნური შავი ვარდი, ვაზაში რომ დევს,
ამოეკაღდა სიყალბიდან და იღიმება.
ყოველ საგანში განსხეულდა და გზაზედ მომდევს,
თანაც საგზაო ნიშანივით, მარად წინ მხვდება.
ის შავ ექსკორტით მიუყვება ხეების რიგებს, –
ტანმოჭრილთ, როგორც ტანმოჭრილი არის ცხოვრება,
რომელიც მხოლოდ გაშინებს და ჭკუას გარიგებს,
ყველგან, მუდმივად გითვალთვალებს და გემსტოვრება.
შუშის ხიდიდან განჭვრეტილი თბილისი დნება,
აბსტრაქციული უფორმოებით დამსრჩვალ სივრცეში;
ჩახარშულ ხოხბის სუნი ასდის მის მოგონებას
და გაბმულია მსრველ დროში, ვით თევზი ფაცერში.
ამ შავ ვარდების სახელი აქვს ახლა მოედანს,
სად აღარ ზეობს ძეგლი ზესთა სულ-ხორცეულის
და უახლესი ისტორიის ან და ჰოედან,
მე მესმის ოხვრა სამშობლოდან გამოქცეულის.

28.02.2011

სანთებელა

ვით გაზდაცლილი სანთებელა, ცარიელი ვარ,
მსვლელი ფირივით კინოფილმის, მექანიკურად.
ვნების მორფივით მკეთებელი, ვგავარ ბელიარს,
სიწმინდის კარი ღვთის წინაშე რომ გაისურა.
განგების მიერ, როგორც ტყვია იარაღიდან,
მე ნასროლი ვარ და გავარდნილ თავს ვერ ვეწევი
და ყოველ ნაბიჯს, რაც გადადგმად ღირდა, არ ღირდა,
ხსოვნის ქაღალდში ლექსგახვეულს, ვით „კენტს“ ვეწევი.
გადიდებული მზერით ფიქრის სათვალეების,

* fucatus rosa (ლათ.) – ხელოვნური ვარდი

დავეურებ გზას და წელთა ხნულებს ვშლი მეღნის ლაქით
და სტრიქონებში ნამოტივარ მუსიკის შვებით,
ჩემს ნამდვილ მე-სკენ ვერეკები დღეების ნახირს.
და სავსე, როგორც სანთებელა, კვლავაც ვინთები
და ვეალები ჩემს სათქმელ გულს ლექსების ცეცხლად
და სანამ, სანამ საბოლოოდ არ დავიწვები,
ჩემს ფურცელ-კალამს ვეყოლები პატიმარ-მძევლად.

12.03.2011

რატომ ვსვამ

მაგიდაზე ფურცელი, ვერაფერი შვებაა,
თუკი ღამე ხელდება სიტყვის მოუსვლელობით.
როცა არც მიზანია, აღარც მისწრაფებაა,
ყოფა საზარელია წამივით თვითმკვლელობის.
თუმც ლექსის ვალი მმართვეს, მას არ ვუწერ თამასუქს,
თუნდაც მომკლას წერაში, ღამის თეთრად თენებით.
მე არ ვგავარ კლასიკოსს, არცა მომდერალ აშუღს,
არც კალმოსნად პოეტთა ორდენებს ვეცენები.
გული რომ ამოუთქვამთ და სული მოუსარკავთ,
გაფრენილან სიტყვები, მწერონ, მწერონ რომ არღა,
მხოლოდ ნაწერს ტოვებენ, საფირმო ნიშან-მარკად,
რა მამდერებს ხან ორღანს, ხან ხმაბარბაცა არღანს.
თუმც გულს პასუხისმგებელს, სისხლძარღვთ ვუშრობ კითხვებით,
ცხოვრების რებუსებზე, თავი მე არ მიხლია,
მხოლოდ ვიცი, რატომ ვსვამ სიცოცხლეს და რით ვთვრები,
სიმღერისთვის რომ ჩემი სისხლი გადამისხია.

26.02.2011

კადრი

ხის მერქანის რგოლებივით ჩახვეული წლები,
ტრიალებენ, ხრიალებენ სულში კინოფირად.
თავს შავ-თეთრ, მშრალ-სველ, აგ-კეთილ, კადრებად
ვეცლები,
ჩემი ტრაგი-კომედიის რომ ვეახლო ფინალს.

finita la commedia – ყვიროდა ფატუმი,
საშინელებათა ფილმის ხმით, მოჰყვინდევ:
წინაშე მელოჟე ღოჟთა და პარტერის ჩუმის,
ბრმათა პატრონთა ხელებს რომ უსიტყვოდ მიენდნენ.

საბჭოურ კინოსტუდიის ძველ სამონტაჟოზე,
ვმონტაჟდებოდი წარღვნის შავ მგოდებელ ქრონიკად, –
რეალობა, ხმამოჰანგე, ცრემლების მაჟორზე,
სამშობლოზევე სამშობლო ზღვით რომ გადმორიყა.

და გათქვეფილს ამ ცხოვრების საპნის ოპერაში,
განადგურების მუქართ გულადსავსეს ყადრის,
მუსიკალურ ფონზე: „საით მიქრის თეთრი რაში“,
არ მშორდება ვარდთა მსროლელ მომღიმარის კადრი.

14.03.2011

კარიჭები*

საათის ისრის შავი ტრიალით,
დაკარგულ ნაპოვნ თავს უბრუნდები.
მიზან-უმიზნო ქარ-ბორიალით,
წრეშეკრულ გზაზე ლოდინს უნდები.

თანაზიარი გრძნეულ თამაშის,
კვლავ მძევლად ჰყავხარ სამთა მტევ წვერტილს,
გართულს შეკვრა-შლით, – აწ, მერე, მაშინ,
დროს წარმავლობის ტყვიით დახვრეტილს.

ფარდის შრიალში გადიხარ თადედს
დღე-ღამის შუქთა და ეკარგები,
განმეორებად სიძველით მძადეს,
საკუთარ თავთან გამოსაღმებით.

* კარიჭი – 1. მორიელი; 2. ღრიანკალი.

უცნობ სასახლის ლანდავ კარიბჭეს,
დანთქმულს ლოდინში შავ მაემანის* ,
სად დროით მგესლავ წამის კარიჭებს,
ზარავთ მარადის ანათემანი.

25.03.2011

* მაემანი – ძვ. სტუმარი.

VICTOR HUGO

Extrait des Contemplations

Demain, dès l'aube, à l'heure où blanchit la campagne,
Je partirai. Vois-tu, je sais que tu m'attends.
J'irai par la forêt, j'irai par la montagne.
Je ne puis demeurer loin de toi plus longtemps.

Je marcherai, les yeux fixés sur mes pensées,
Sans rien voir au-dehors, sans entendre aucun bruit,
Seul, inconnu, le dos courbé, les mains croisées,
Triste, et le jour pour moi sera comme la nuit.

Je ne regarderai ni l'or du soir qui tombe,
Ni les voiles au loin descendant vers Harfleur,
Et, quand j'arriverai, je mettrai sur ta tombe
Un bouquet de houx vert et de bruyère en fleur.

3. ჰიუგოს ლექსის მოტივზე შექმნილი ჩანახატები

ნატო ზაკალაშვილი

განთიადისას, ალიონი როცა დადგება
მე მოვალ, ვიცი რომ მეღი...
მე გადავივლი ათასგვარ გზებს,
რათა სიცოცხლე, უშენოდ, მარტო?!

მე ვივლი და ფიქრი შენზე არ შემეშვება...
ჩემი ცხოვრება სავსეა შენით.
ჩემი დღეები სავსეა თმენით...
გპირდები მოვალ...

ჰო, მაინც მოვალ...
მე დავემხობი მღუმარე საფლავს...
და ყვავილების გვირგვინს დავადგამ...

თენა თოფჩიშვილი

ხვალ დილიდანვე, როცა სოფელი გადათეთრდება,
წამოვალ, ვიცი, რომ შენ მარად იქ მელოდები,
მე გადმოვლახავ თოვლიან მთებს და უღრან ტყეებსაც,
შენგან სიშორეს ვეღარ ვუძლებ, მგონი მოვკვები.

მე ჩემს ფიქრებში ჩავიძირები და გზას მივყვები
გაშტერებული,
არ მესმის სიო როგორ დამღერის, ვერ ვხედავ,
გაქრა ირგვლივ ყოველი.
მივდივარ მარტო, კენტად, ეული, შენი სიშორით
გადარეული,
ჩემთვის დღე-ღამე თანასწორია, ნუთუ შენამდე
ისევ შორია?

ვხედავ შენს საფლავს, მოვალ, ვქვითინებ,
დიდი ხანია ჩემთან აღარ ხარ,
მინდვრის ყვავილებს დავკრეფ მე შენთვის,
და კიდევ ერთხელ გეტყვი, მიყვარხარ...

Scripta manent

ავტორები

ლალი ბერიძე – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ია ბურდული – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ოთარ გოგოლიშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი.

ნატო ზაკალაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

თენა თოფჩიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

ლელა თელიაშვილი – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გერმანული ენის სპეციალობის ბაკალავრი

ნატო თხილავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, გერმანული ენის მასწავლებელი

ნატალია სურგულაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჭყონია – მსახიობი, პოეტი, კომპოზიტორი.

ჟურნალის რედაქლეცია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბეიბიტოვა** – გუმბელიოვის სახ. ვერაზის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
- ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუმის უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუმის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ენების ცენტრი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Scripta manent

Редколлегия журнала

Маия Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, фулл-профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, фулл-профессор

Виола Пурцеладзе – Тбилисский Государственный Университет, доктор филологических наук, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассоциированный профессор.

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Таня Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Кетеван Габуня – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, руководитель направления романской филологии, фулл-профессор

Ия Бурдули – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассистент-профессор

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской академии естественных наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, ассоциированный профессор

Альба Грациано – Университет Туши Италии, директор центра языков, профессор

Алессандра Спадафора – Университет Туши Италии, доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Георгий Купарадзе – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, ассоциированный профессор

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Full Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philology, Full professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philology, Assosiated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Humanitarian Science Faculty, Head of the Dirrection in Romanian Philology, Doctor of Philology, Full-Professor

Ia Burduli – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philology, Assistant Professor

Maria Mikhaylova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of russian academy on the nature study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philological Science, Assosiated Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Humanitarian Science Faculty, Doctor of Philology, Assosiated Professor